

როდემდე უნდა ითმინოს ეს მთავრობა მოსახლეობამ?

გაზეთი “ალია” 8-10 ნოემბერი, № 137, 2008

ბოლო დღეებში ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1,41-დან 1,55-მდე გაიზარდა. როგორც „ალიამ“ გაარკვია ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ბოლო დღეებში დოლარზე დიდი მოთხოვნა დაფიქსირდა. მარტივად რომ ავხსნათ, კომერციულმა ბანკებმა შეიძინეს დიდი რაოდენობით დოლარი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მომხმარებლის მხრიდან ლარზე ნაკლები მოთხოვნაა, ვიდრე დოლარზე.

ამის პარალელურად სტატისტიკის დეპარტამენტმა დააფიქსირა ინფლაციის 7%-იანი მაჩვენებელი. ეროვნულ ბანკში ამ ფაქტს ნავთობსა და ხორბალზე ფასების შემცირებით ხსნიან.

რატომ იზრდება ლარის კურსი? შეიძლება თუ არა ეს ტენდენცია გაგრძელდეს? რატომ არ იზრდება პარალელურად ვეროს კურსი? რეალურია თუ არა ინფლაციის 7%-იანი მაჩვენებელი?

„ალია“ ამ საკითხებით დაინტერესდა და ეკონომიკურ ექსპერტს, ლადო პაპუას დაიკავშირდა:

– დავიწყეთ იმით, რომ დღეს სახეზეა ლარის დევალვაცია ანუ გაუფასურება დოლართან მიმართებაში. ჩვენ ამის შესახებ თქვენი გაზეთის მკითხველებს არაერთხელ ავუხსენით, რომ ეს მოსალოდნელი იყო. ამის მიზეზს ძალიან მოკლედ გაგიმეორებ: ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსი არის ძალიან უარყოფითი. როცა იმპორტი ოთხჯერ და უფრო მეტად აღემატება ექსპორტს, ანუ საგარეო ვაჭრობაში 4 და მეტ დოლარს ვხარჯავთ იმპორტზე, ხოლო ექსპორტით მხოლოდ 1 დოლარი შემოდის. ამ დისბალანსის დაფარვის ძირითადი წყარო იყო უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები. უცხოური ინვესტიციების შეფერხებას ორი მიზეზი აქვს – მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოში განვითარებული საომარი მოქმედებები. ასევე გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში შემცირდა საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი

თანამემამულეების ფულადი გზავნილებიც. უცხოური ვალუტის შემოდინების შეფერხებამ გამოიწვია ის, რომ ლარის უფრო დიდი მასა დაუპირისპირდა დოლარის მცირე მასას. ამას შედეგად მოჰყვება ის, რომ ლარის კურსი ეცემა. რა თქმა უნდა ეროვნული ბანკი თავისი რეზერვებიდან არ ყიდიდეს დოლარების გარკვეულ ოდენობას და არ ერეოდეს ამაში, ლარის გაუფასურება იქნებოდა ნახტომისებური და საკმაოდ დრმა. ეროვნული ბანკი ატარებს სწორ პოლიტიკას, რომ რეზერვების შემცირების ხარჯზე თანდათანობით გაუფასურებას უწყობს ხელს და არა ნახტომისებურად.

– ბატონო ლადო, რითი აიხსნება ბანკების მხრიდან დოლარზე მოთხოვნის გაზრდა?

– ბანკების მოთხოვნა ყალიბდება იქედან გამომდინარე, თუ მათ კლიენტებს რა მოთხოვნა აქვთ. როგორც გითხარით დოლარის მასა ქვეყანაში ნაკლები შემოდის, ლარის მასა იგივე დარჩა, აქედან გამომდინარე მოთხოვნა გაჩნდა დოლარზე.

– მაშინ რატომ არ იმატებს ევროს კურსი?

– საქმე იმაშია, რომ ევროს და დოლარს აქვს კიდევ თავისი კანონზომიერება. მე შევეგხე დოლართან მიმართებაში ქართულ ბაზარზე არსებულ ფენომენს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება დოლარის ემიტენტი ამერიკის შეერთებული შტატებია, ხოლო ევროსი კი ევროკავშირი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ევროკავშირისაგან განსხვავებით მიიღო უფრო სერიოზული, ფართომასშტაბიანი და ოპერატიული პროგრამა გლობალური ფინანსური კრიზისის დასაძლევად, რისთვისაც ამერიკის ხაზინიდან ეკონომიკის დასახმარებლად 700 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფის თაობაზე. ეს უკვე იყო დადებითი სიგნალი ბაზრებისათვის. ევროკავშირმა კი ასეთი ტიპის გადაწყვეტილება ვერ მიიღო და გადაწყვიტა, რომ წევრმა სახელმწიფოებმა თავად უნდა დაარეგულირონ ქვეყნებში არსებული პრობლემები. ეს არის პრინციპული შეცდომა, რადგან ვალუტა არის საერთო და არა თითოეული ქვეყნის. აქედან გამომდინარეა ის შედეგი რაც ხდება დოლარისა და ევროს მიმართებაში, როცა დოლარმა დაიწყო გამყარება ევროსთან მიმართებაში ეს აისახა საქართველოს ბაზარზეც. ერთი პერიოდი ევრო იყო პოპულარული, ახლა კი ყველა ცდილობს თავისი დანახოვები გააკეთოს დოლარში. ამიტომაც გაიზარდა მოთხოვნა დოლარზე. ჩვენი მომხმარებელიც და ბიზნესიც ხედავს, რომ ამ ეტაპზე დოლარს უკეთესი მომავალი აქვს, ვიდრე ევროს, რადგან დოლარის პატრონი ზრუნავს

დოლარზე, ხოლო ევროს პატრონმა, დიდი ბოდიში და თავი ვერ მოაბა ამ საქმეს.

– და ბოლოს, როგორ შეაფასებდით ინფლაციის 7%-იან მაჩვენებელს?

– აი, თქვენ რომ კითხვას მისვამთ, თავადვე გეცინებათ. თქვენ წარმოიდგინეთ ჩემშიც ეს იწვევს ნაღვლიან ღიმილს. ღიმილი იმიტომ, რომ როგორ შეიძლება ამას სხვანაერად შეხედო, თუ არა იუმორით და ვის უნდა მოატყუო 7%-იანი ინფლაცია. მეორეს მხრივ, რა თქმა უნდა ეს ნაღვლიანია. როდემდე უნდა იყოს ეს მთავრობა არაგულრწფელი და როდემდე უნდა ითმინოს ეს მატყუარა მთავრობა მოსახეობამ? 7%-ს გამოაქვეყნებს, თუ 12%-ს, ორივე ტყუილი იქნება, რადგან ვიცით რომ ეს მაჩვენებელი ორივე დაბალია, მაგრამ ცოტა სინდის-ნამუსიც ხომ უნდა ჰქონდეთ ისეთი რომ გამოაქვეყნონ?

– ეროვნულ ბანკში ამას იმით ხსიან, რომ საწვავის და ხორბლის ფასი ემცირდაო.

– საწვავის ფასი მართლაც შემცირებულა, მაგრამ არა იმდენად, როგორც ეს არის მსოფლიო ბაზარზე. სხვა რა არის გაიაფებული? პური გაიაფდა? თუ რომელიმე მომსახურება გაიაფთა? ნეტავ ის ხალხი, რომლებიც ამ ციფრებს საჯაროდ აქვეყნებენ, მაღაზიებში არ დადიან? პროდუქტებს არ ყიდულობენ? ასე კარგად აქვთ აწყობილი ეს ცხოვრება?

ღიმიტრი ტიკარაძე